

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის
N24 ბინაზე, მოქალაქე ნორა ცირეკიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნორა ცირეკიძის წარმომადგენლის ზაზა ქათამაძის განცხადება /2014 წლის 24.02 Nქ-1153/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ნორა ცირეკიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 652 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნორა ცირეკიძეს /პირადი N60001098183/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე, საერთო ფართობი 84,25 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 47,75 კვ.მ, დამხმარე ფართობი 36,50 კვ.მ./ მოქალაქე ნორა ცირეკიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია